

ՀՊԵՆՏԻՆԻ ԵՄՉԾԵՆԵՐ

ՆԱԺԱՐՏՅՎԵԼՈՒ-ՐՈՆԵՏՈՒՆ ՉՐԹՈՎՐԹՈՒԹՅՆԵՐ: „ՆԱՐԵՍՎԵԼՆԱ ԵՎ ԳՔՈՆ“ ԳԵՄՅՈՒԼՆԵՐԿՅԱ

ՖՈՏՈՑ ԸՆՐՆԵՆԻ

ՈՒՅՄՈԹՅՈՒՆ 2017



ՆԱԺԱՐՏՅՎԵԼՈՒՆ ՀՊԵՆՏԻՆԻՆ ԻՆՏԵՐՆԱԿՆԵՐԿՅԱ

ԹՅՈՒՆԻ

პოლიტიკის დოკუმენტი

საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები: „სარტყელისა და გზის“ გეოპოლიტიკა

ჯოსეფ ლარსენი

ოქტომბერი 2017

აბსტრაქტი

ჩინეთი საქართველოს მიმართ მზარდ ინტერესს იჩენს. თანამშრომლობა ძირითადად ეკონომიკურ სფეროში ურთიერთობებით შემოიფარგლება. თუმცა, „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის კონტექსტში რეგიონში ჩინეთის ჩართულობას შესაძლოა გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს.

თბილისი



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასაწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაცია ასევე ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში სახალხო ჩართულობას. 2013 წლის დეკემბრიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი.

რედაქტორი: კორნელი კაკაჩია
ავტორი: ჯოსეფ ლარსენი

ყდის ფოტო: The Silk Road Project

გამომცემლობა: გრიფონი

© Georgian Institute of Politics, 2017

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge

შინაარსი

| | |
|--|-----------|
| მოკლე შინაარსი..... | 4 |
| საქართველო: ჩინეთის პარტნიორი სამხრეთ კავკასიაში..... | 6 |
| საქართველო-ჩინეთის კავშირები ეკონომიკის სფეროში..... | 6 |
| საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები დიპლომატიისა და უსაფრთხოების სფეროში..... | 11 |
| „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა..... | 13 |
| საქართველოს ადგილი „სარტყელისა და გზის ინიციატივაში“ | 16 |
| გეოპოლიტიკური შედეგები..... | 19 |
| ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობები „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის კონტექსტში..... | 20 |
| გეოპოლიტიკური შედეგები საქართველოსთვის..... | 23 |
| სავარაუდო წარუმატებლობები..... | 25 |
| დასკვნა..... | 27 |
| რეკომენდაციები..... | 28 |

მოკლე შინაარსი

საქართველო ჩინეთთან ურთიერთობებს თანდათან აღრმავებს, განსაკუთრებით, ეკონომიკის სფეროში. გარდა იმისა, რომ ჩინეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წყაროა, ორი ქვეყანა რიგ დიპლომატიურ საკითხებთან დაკავშირებით საერთო პოზიციას იზიარებს. მცირე ზომისა და ჩინეთთან გეოგრაფიული სიშორის გათვალისწინებით, ნაკლებსავარაუდოა საქართველო ჩინეთისთვის სტრატეგიული ან უსაფრთხოების პრიორიტეტი გახდეს. ამის მიუხედავად, ძლიერ სახელმწიფო-თან ორმხრივ ურთიერთობებში საქართველოს გარკვეული უპირატესობების გამოყენება შეუძლია - უფრო კონკრეტულად კი საქმე ეხება საქართველოს უნიკალურ მდებარეობას ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ გზაზე. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში საქართველოს მონაწილეობას ქვეყნის სამი მთავარი მახასიათებელი ხდის მიმზიდველს:

- თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირთან და ჩინეთთან;
- შავ ზღვაზე გასასვლელი და სახმელეთო გზა თურქეთთან, რაც ჩინეთს ევროკავშირთან ვაჭრობის უფრო ეფექტურ პლატფორმას სთავაზობს (მეორე ფაქტორი მეტ მნიშვნელობას სძენს პირველ ფაქტორს);
- ხელსაყრელი მდებარეობა ორ რეგიონულ ფორმატს შორის, რომელიც მნიშვნელოვანია „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის წარმატებით განხორციელებისთვის. ესენია – საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას (GUAM) გაერთიანება და აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიის სიმცირის გათვალისწინებით, ჩინეთის მხრიდან მცირედი ძალისხმევაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი იქნება.

საქართველოსთვის „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში მონაწილეობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. მაშინ როდესაც GUAM-ისა და საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი არასაკმარისად ინსტიტუციონალიზებულია და არცერთს გააჩნია ჩინეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა, რეგიონში ჩინეთის ჩართულობა დამატებით სტიმულს ქმნის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. ეს კი მეტ მნიშვნელობას შესძენს საქართველოს როლს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ გზაზე, რისი ნიშნებიც უკვე თვალსაჩინოა. ამასთან, რეგიონში ჩინეთის ჩართულობას შეუძლია გაზარდოს რუსეთის მხრიდან მეზობელი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დესტაბილიზაციის ფასი და შესაბამისად, შეცვალოს რუსეთის სტრატეგიული გათვლები. რუსეთზე ამგვარი ზემოქმედება შეამცირებს გეოპოლიტიკურ წნეხს საქართველოზე და მას უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება.

წინამდებარე დოკუმენტის პირველ ნაწილში განხილულია საქართველო-ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობები. დოკუმენტის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის შესახებ და აკადემიურ ლიტერატურაზე, ორი ქვეყნის მთავრობის


ოფიციალურ განცხადებებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საქართველოს როლი ამ ინციატივაში. მესამე ნაწილში შეფასებულია „სარტყელისა და გზის“ ინციატივის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და განხილულია ჩინეთის ჩართულობის შედეგად საქართველოს სტრატეგიული პოზიციის გაძლიერების შესაძლებლობა. მეოთხე ნაწილში განხილულია „სარტყელისა და გზის“ ინციატივის წარუმატებლობის შესაძლებლობა. დოკუმენტში დასკვნის სახით საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენილია რეკომენდაციები „სარტყელისა და გზის“ ინციატივის ფარგლებში ჩინეთთან ურთიერთობისას მაქსიმალური სარგებლის მისაღებად.

საქართველო: ჩინეთის პარტნიორი სამხრეთ კავკასიაში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ საქართველოსთან ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 9 ივნისს დაიწყო. 25 წლის მანძილზე ორმხრივი კავშირები თანდათან გაღრმავდა. თანამშრომლობა ეკონომიკურ სფეროში ურთიერთობებით შემოიფარგლება და ძირითადი აქცენტი ინვესტიციებსა და ვაჭრობაზე კეთდება. ორმხრივი ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 1992 წელს სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბების და განსაკუთრებით 2010 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში 2008 წლის ომის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო.

საქართველო-ჩინეთის კავშირები ეკონომიკის სფეროში

საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები საგრძნობლად გაღრმავდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო. საქართველოს ექსპორტი ჩინეთში 2009 წელს 6 მლნ. აშშ დოლარიდან 2010 წელს 170 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 8%-ს შეადგენდა¹. იმავე პერიოდში, საქართველოში ჩინეთიდან ექსპორტი 175 მლნ. აშშ დოლარიდან 548 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა, რამაც ჩინეთი თურქეთისა და რუსეთის შემდეგ საქართველოში ექსპორტის კუთხით რიგით მესამე ადგილზე დააყენა. ორმხრივი ვაჭრობის მთლიანი მოცულობა 1992 წლიდან 2014 წლამდე 223-ჯერ – 4 მლნ. აშშ დოლარიდან 823 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა. ჩინეთში საქართველოს ექსპორტის დიდი წილი ამჟამად მინერალებზე, მათ შორის სპილენძის მადანსა და კონცენტრანტებზე მოდის².



¹ "Georgian exports by countries", GeoStat, წვდომის თარიღი 14 ივნისი, 2017, http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng.

² "Product Exports by Georgia to China 2015", wits.worldbank.org, წვდომის თარიღი 6 სექტემბერი, 2017, <http://wits.worldbank.org/CountryProfile/en/Country/GEO/Year/2015/TradeFlow/Export/Partner/CHN/Product/All-Groups>.

საქართველოს წლიური ექსპორტი ჩინეთში

| წელი | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|--|----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|------------|------------|
| მოცულობა (ათასი აშშ. დოლარი) | 5,965.54 | 27,050.41 | 28,970.02 | 25,674.69 | 33,955.97 | 90,393.33 | 125,800.20 | 169,586.85 |
| პროცენტუ ლი ზრდა, წლიდან წლამდე | N/A | 353.44% | 7.09% | -11.37% | 32.25% | 166.20% | 39.17% | 34.80% |

წყარო: GeoStat³



ჩინეთის ყოველწლიური ექსპორტი საქართველოში


| წელი | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|--|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| მოცულობა (ათასი აშშ. დოლარი) | 174,571.29 | 335,160.02 | 527,701.10 | 614,416.70 | 612,250.18 | 733,467.55 | 587,298.86 | 547,768.81 |
| პროცენტუ ლი ზრდა, წლიდან წლამდე | N/A | 91.99% | 57.45% | 16.43% | -0.035% | 19.80% | -19.93% | -6.73% |

წყარო: GeoStat⁴

³ იქვე.

⁴ "Georgian Imports by Countries", GeoStat, წვდომის თარიღი 14 ივნისი, 2017, http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng.

ორ ქვეყანას შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობებს კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს 2017 წლის მაისში ხელმოწერილი ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველო ტარიფებს გააუქმებს ჩინეთის საექსპორტო კატეგორიის 95.6%-ზე, მაშინ როდესაც საქართველოს საექსპორტო კატეგორიის 91%-ს მოეხსნება ტარიფი ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე⁵. ამასთან, საქართველოს საექსპორტო კატეგორიის დამატებით 3% გათავისუფლდება ტარიფებისგან ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება საქართველოსთვის სავარაუდოდ მომგებიანი იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ჩინეთიდან განხორციელებულ იმპორტზე თითქმის ნულოვანი ტარიფი აქამდეც მოქმედებდა, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ქართველი ექსპორტიორები არაპროპორციულად დიდ სარგებელს მიიღებენ. 2015 წელს თბილისში დაფუძნებული პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) მიერ საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ხელშეკრულების გაფორმების მიზანშეწონილობის შესახებ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩინურ პროდუქციაზე ტარიფების სრული გაუქმებით საქართველოში ჩინეთიდან ექსპორტი ყოველწლიურად 1.6%-2.2%-ით გაიზრდება⁶. ჩინეთის მიერ ქართულ პროდუქციაზე ტარიფების სრული გაუქმებით კი საქართველოდან ჩინეთში ექსპორტი 9%-ით გაიზრდება⁷. სავაჭრო ლიბერალიზაცია ქართველი ექსპორტიორებისთვის მეტ შესაძლებლობას გააჩენს, ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის იაფი იმპორტირებული საქონლით გადავსების რისკის გარეშე. ჩინელი ექსპორტიორები მარგინალურ სარგებელს ნახავენ, მაშინ როდესაც ქართველ ექსპორტიორებს მნიშვნელოვნად გაეზრდებათ ჩინეთის სამომხმარებლო ბაზართან წვდომა, განსაკუთრებით ღვინისა და არაალკოჰოლური სას-



⁵ "China, Georgia sign FTA", *The State Council of the People Republic of China*, ბოლო ცვლილება 15 მაისი, 2017, წვდომის თარიღი 17 აგვისტო, 2017, http://english.gov.cn/news/international_exchanges/2017/05/15/content_281475656216746.htm.

⁶ "Joint Feasibility Study on China-Georgia Possible Free Trade Agreement", *PMC Research Center*, 30 ივლისი, 2015, წვდომის თარიღი 30 ივნისი, 2017, გვ. 121.

⁷ იქვე, გვ. 122.

მელების მიმართულებით⁸.

ჩინეთი საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის წყაროც გახდა. 2014 წელს ჩინეთიდან შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 218 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რითიც ჩინეთმა რიგით მეოთხე ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის, ნიდერლანდების სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ⁹. უმსხვილესი უცხოური ინვესტორი საქართველოში ჰუალინგ ჯგუფია – ჩინური კომპანია, რომელმაც 2007 წლიდან მოყოლებული 8 პროექტით საქართველოში 500 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა¹⁰. კომპანიის პროექტების ჩამონათვალშია თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ქუთაისში, საცხოვრებელი და კომერციული კომპლექსი თბილისის გარეთ და ხის გადამამუშავებელი ქარხანა¹¹. ქვეყნის მასშტაბით ჰუალინგ ჯგუფში დასაქმებულია 3000-ზე მეტი ადამიანი.

ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საქართველოში

| წელი | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|--------------------------------|-----------|-----------|----------|-----------|-----------|------------|-----------|-----------|
| მოცულობა (ათასი აშშ დოლარი) | -2,236.97 | -7,882.02 | 9,643.09 | 36,126.09 | 89,874.19 | 217,944.39 | 66,947.63 | 26,433.30 |
| პროცენტული ზრდა, წლიდან წლამდე | N/A | -247.88% | 222.34% | 274.63% | 148.78% | 142.50% | -69.28% | -59.02% |

წყარო: GeoStat¹²

ჩინურმა კომპანიებმა ფეხი მოიკიდეს საქართველოს მომსახურების სექტორშიც, განსაკუთრებით საფინანსო, ტელეკომუნიკაციებისა და ტურიზმის სფეროებში. ტელეკომუნიკაციების მიმართულებით, ორი ჩინური კომპანია გახდა ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშე – ZTE Corporation და HUAWEI Technology Co., Ltd – რომლებიც მობილური ტელეფონის სერვისების მიწოდებაში სპეციალიზდებიან. საფინანსო სფეროში, ჰუალინგ ჯგუფმა 2012 წელს საქართველოს ბაზის ბანკის საკონტროლო პაკეტი შეისყიდა¹³. 2016 წელს ბაზის

⁸ იქვე.

⁹ "Foreign Direct Investments by Countries", *GeoStat*, წვდომის თარიღი 18 ივნისი, 2017, http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=2231&lang=eng.

¹⁰ "Hualing Group – Top Investor of Georgia", *hualing.ge*, წვდომის თარიღი 6 სექტემბერი, 2017, <http://hualing.ge/language/en/hualing-group-top-investor-of-georgia/>.

¹¹ "Projects", *Hualing.ge*, წვდომის თარიღი 10 ივნისი, 2017, <http://hualing.ge/language/en/tbilisi-sea-new-city-2/>.

¹² "Foreign Direct Investments by Countries", *GeoStat*, წვდომის თარიღი 14 ივნისი, 2016, http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=2231&lang=eng.

¹³ "Hualing Group enters into preliminary agreement to acquire majority stake of Bank Republic, a subsidiary of Societe Generale in Georgia", *Hualing.ge*, წვდომის თარიღი 7 აგვისტო, 2017, <http://hualing.ge/language/en/hualing-group-enters-into-preliminary-agreement-to-acquire-majority-stake-of-bank-republic-a-subsi-dary-of-societe-generale-in-georgia/>.

ბანკმა 5 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზი მიიღო სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჩინეთის განვითარების ბანკისგან, რაც უცხოურ ინვესტიციებსა და ვაჭრობაში ჩინეთის სახელმწიფოს ჩარევის მაგალითს წარმოადგენს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოდინება 2014 წლის შემდეგ შემცირდა. ვარდნა განაპირობა ჰუალინგის, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ერთადერთი წამყვანი კომპანიის არსებობამ¹⁴. კომპანიამ ინვესტიციების უმრავლესობა 2007-2015 წლებში განახორციელა. შესაბამისად, საჭიროა ახალი მსხვილი ინვესტიციების შემოსვლა. საქართველოში ჩინეთის საელჩოს მრჩეველმა ეკონომიკურ და ვაჭრობის საკითხებში – ლიუ ბომ 2016 წლის ინტერვიუში ოპტიმიზმით აღნიშნა:

„საქართველოს ძალიან კარგი საინვესტიციო გარემო და მარტივი საგადასახადო რეჟიმი აქვს. იგი მიმზიდველია მრავალი ქვეყნის, მათ შორის, ჩინეთის პოტენციური ინვესტიორებისთვის. 2015 წელს ჩინეთიდან შემცირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არ ნიშნავს, რომ საქართველო ჩინელი ინვესტიორებისთვის მიმზიდველი ქვეყანა აღარაა.“¹⁵

საქართველო რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტის წევრია, რომელსაც ჩინეთი ხელმძღვანელობს. მათ შორისაა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB). თბილისმა 2015 წელს AIIB-ის მთავარი მოლაპარაკებების რიგით მე-6 შეხვედრას უმასპინძლა. AIIB-ის ცნობით, საქართველო „სტრატეგიულადაა განთავსებული შავ ზღვასა და კასპის ზღვას შორის, რაც მას რეგიონული სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას სძენს. სატრანსპორტო და სხვა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით, ბანკს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონული ვაჭრობის განვითარებაში დასავლეთ აზიის, ცენტრალური აზიისა და ევროპის უფრო მეტად დაკავშირებით“¹⁶. 2017 წლის 15 ივნისს საქართველომ AIIB-თან ხელი მოაწერა 114 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, ბანკი ბათუმის შემოვლითი გზის პროექტს დააფინანსებს. პროექტის მიზანი საქართველოსა და თურქეთს შორის კომერციული ტრანსპორტის მიმოსვლის ხელშეწყობაა, რომელიც როგორც ჩინეთის, ისე საქართველოს ინტერესებს ემსახურება¹⁷.

ჩინეთისთვის საქართველო მისი სატრანსპორტო კვანძის ფუნქციის გათვალისწინებით არის მნიშვნელოვანი, რომელსაც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივით აზიის ევროპასთან დააკავშირება შეუძლია. საქართველო უკვე განწევრიანდა რეგიონულ ინფრასტრუქტურულ

¹⁴ გიორგი მჟავანაძე (უფროსი მკვლევარი თბილისის საერთაშორისო ეკონომიკის სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ავტორთან გასაუბრება, სექტემბერი 2017.

¹⁵ Madona Gasanova, “Chinese Investments to Georgia to Surge in 2016”, *The Financial*, წვდომის თარიღი 7 სექტემბერი, 2017, <http://www.finchannel.com/index.php/world/georgia/56004-chinese-investments-in-georgia-to-surge-in-2016>.

¹⁶ “Georgia: Batumi Bypass Road Project”, *AIIB.org*, წვდომის თარიღი 5 ივლისი, 2017, <https://www.aiib.org/en/projects/approved/2017/batumi-bypass-road-project.html>.

¹⁷ იქვე.

ინიციატივა – ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანში (TRACECA), რომელიც სავარაუდოდ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის საფუძველი გახდება¹⁸. ამასთან, საქართველო მონაწილეობს ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ინიციატივაში (TITR). TITR „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფორმატის ქვეშ 2016 წლის ოქტომბერში შეიქმნა და ჩინეთს ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, უკრაინასა და თურქეთთან დააკავშირებს¹⁹.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და პიდაპირი უცხოური ინვესტიციის მნიშვნელოვანი წყაროა, მცირეა იმის რისკი, რომ როგორც აზიის ზოგიერთი პატარა ქვეყანა, საქართველოც ზედმეტად დამოკიდებული გახდეს მასზე. ამ საფრთხის თავიდან აცილებაში საქართველოს, ერთი მხრივ, ჩინეთისგან გეოგრაფიული სიმორე, ხოლო, მეორე მხრივ, რეგიონულ მოთამაშეებთან – აზერბაიჯანთან, ევროკავშირთან და თურქეთთან – მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები ეხმარება. ამჟამად ჩინეთზე მოდის იმპორტირებული სამომხმარებლო პროდუქტის შედარებით მცირე და არამზარდი ნაწილი. ჩინეთის მიერ ექსპორტირებული სამომხმარებლო პროდუქტის კატეგორიების დიდ ნაწილს საქართველოში სხვა ქვეყნები, განსაკუთრებით კი თურქეთი ითვისებს²⁰.

საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები დიპლომატიისა და უსაფრთხოების სფეროში

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მიმართ ჩინეთი უმნიშვნელო დიპლომატიურ და სტრატეგიულ ინტერესს გამოხატავს. ნაცვლად ამისა, ჩინეთი ყურადღებას ამახვილებს ნაკლებად პოლიტიზირებულ საკითხებზე – ისეთზე, როგორცაა სავაჭრო ურთიერთობები და ინფრასტრუქტურული ინვესტიციები. ჩინეთი რეგიონში სამხედრო კონტინგენტით წარმოდგენილი არაა და ნაკლებად სავარაუდოა, ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში რამე შეიცვალოს. თუმცა, საქართველოსა და ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობები თანხვედრაშია სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებთან დაკავშირებით. 2008 წლის სექტემბერში ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემფოთება გამოთქვა „სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე“

¹⁸ TRACECA 1993 წელს ჩამოყალიბდა ევროკავშირის ხელმძღვანელობით ევროკავშირსა და აზიის შორის ვაჭრობის და სავაჭრო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ხელშეწყობის მიზნით. თავდაპირველად მასში რვა ქვეყანა იყო გაწევრიანებული – სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი – ხოლო მოგვიანებით გაერთიანებას ირანი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა შეუერთდა.

¹⁹ Yerbolat Uatkhonov, “Kazakhstan, Azerbaijan and Georgia sign Trans-Caspian International Transport Route protocol”, *The Astana Times*, ბოლო ცვლილება 7 აპრილი, 2017, წვდომის თარიღი 14 აგვისტო, 2017. <http://astanatimes.com/2017/04/kazakhstan-azerbaijan-and-georgia-sign-trans-caspian-international-transport-route-protocol/>.

²⁰ 2015 წელს ჩინეთიდან მთლიანი სამომხმარებლო საქონლის იმპორტის მოცულობამ 257 მლნ. ლარი შეადგინა, მთლიანი მოცულობის დაახლოებით 6%. განსხვავებით ჩინეთისგან, საქართველოს მთავარი იმპორტის წყაროდან – თურქეთიდან – სამომხმარებლო საქონლის იმპორტმა 693 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, მთლიანი მოცულობის დაახლოებით 16%. (წყარო: wits.worldbank.org).

და ხაზი გაუსვა რუსეთის გადანყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარების თაობაზე²¹. ჩინეთი დღემდე განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას²². აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი უფრო მტკიცეა, ვიდრე ეს უკრაინის შემთხვევაშია. მაგალითად, 2014 წლის მარტში ჩინეთმა თავი შეიკავა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციის მხარდაჭერისგან, რომელიც ყირიმის რეფერენდუმის შედეგებს უგულვებელყოფდა. ჩინეთის მხრიდან საქართველოს მიმართ მტკიცე მხარდაჭერა მიანიშნებს, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები მხოლოდ ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროთი არ შემოიფარგლება.

საქართველო არ არის შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO) წევრი, რომელიც 2001 წელს ჩინეთის ხელმძღვანელობით შეიქმნა. თუმცა საქართველოს პოზიცია ხშირად ემთხვევა ორგანიზაციის სხვა წევრი ქვეყნების პოზიციებს. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, ისევე როგორც საქართველო, ტერორიზმის, სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის „სამი ბოროტების“ წინააღმდეგ იბრძვის. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის საგარემო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის მიუხედავად, უშიშროების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მოსკოვის პოზიციას მხარი არ დაუჭირეს და მის ნაცვლად, პოზიცია „დუშანბეს დეკლარაციის“ სახით დააფიქსირეს, სადაც მხრეებს სამხეთ ოსეთში არსებული პრობლემების გადასაჭრელად დიალოგისა და მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებდნენ²³. „დუშანბეს დეკლარაცია“ რუსეთისთვის დიპლომატიური მარცხი იყო, რადგან იგი უშიშროების საბჭოში საკუთარი პოზიციის მხარდაჭერასა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ლობირებდა²⁴.

საქართველოში ჩინეთის ინტერესები ეკონომიკურ სფეროს მოიცავს. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ორ ქვეყანას მჭიდრო დიპლომატიური თანამშრომლობის საფუძველიც აქვს. ამასთან, ღრმა ეკონომიკურ ურთიერთობებს გეოპოლიტიკური შედეგიც მოსდევს – მზარდ ეკონომიკურ ჩართულობასთან ერთად, იზრდება ჩინეთის ინტერესი საქართველოს სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიმართ. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაღრმავდება თუ საქართველო „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში საკუთარ ჩართულობას გააფართოვებს.

²¹ “China ‘concerned’ of situation in S. Ossetia, Abkhazia”, *Xinhua News Agency*, ბოლო ცვლილება 28 აგვისტო, 2008, წვდომის თარიღი 14 ივნისი, 2017, http://www1.china.org.cn/international/foreign_ministry/2008-08/28/content_16349443.htm.

²² Paul Stronski and Alexandra Vreeman, “Georgia at Twenty-Five: In a Difficult Spot”, *Carnegie Endowment*, ბოლო ცვლილება 25 მაისი, 2017, წვდომის თარიღი 1 ივნისი, 2017, <http://carnegieendowment.org/2017/05/25/georgia-at-twenty-five-in-difficult-spot-pub-70074>.

²³ “Dushanbe Declaration”, *Shanghai Cooperation Organization*, ბოლო ცვლილება 27 აგვისტო, 2008, წვდომის თარიღი 15 აგვისტო, 2017, <http://eng.sectsc.org/load/198068/>.

²⁴ “SCO Fails to Back Russia over Georgia”, *RFE-RL*, ბოლო ცვლილება 28 აგვისტო, 2008, წვდომის თარიღი 28 ივნისი, 2017, https://www.rferl.org/a/SCO_Fails_To_Back_Russia_Over_Georgia/1194578.html.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივა

ჩინეთმა „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის შესახებ ოფიციალურად 2013 წელს განაცხადა და მას „საუკუნის პროექტი“ უწოდა²⁵. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა სხვადასხვა პროექტების ერთობლიობაა, რომელიც ფარავს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო დერეფნებს და მასში ჩართულია 65 სახელმწიფო, მსოფლიო მოსახლეობის თითქმის $\frac{2}{3}$ და გლობალური მშპ-ის $\frac{1}{3}$. თუმცა, ინიციატივა უფრო კონცეფციაა, ვიდრე მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროექტების ერთობლიობა და საკმარისად მოქნილია იმისთვის, რომ ფარავდეს ახალ და მანამდე არსებულ პროექტებს. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა მიზნად ისახავს ჩინური საქონლისთვის სავაჭრო გზების გახსნას და ჩინეთის დასავლეთი ნაწილის, მათ შორის, არასტაბილური სინძიანის სასაზღვრო რეგიონის, უსაფრთხოების უზრუნველყოფას. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის კიდევ ერთი მიზანი რუსეთიდან და ცენტრალური აზიიდან ჩინეთში მიმავალი ენერგო რესურსების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ჩინეთის ხედვით, ვაჭრობისთვის ფიზიკური და პოლიტიკური ბარიერების მოხსნით, ექსპორტისთვის ახალი ბაზრები გაიხსნება და მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტია იქნება. წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, პროექტი ჩინეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ოთხივე მიზანს მიაღწევს²⁶:

- 1) პერიფერიაში მშვიდობის შენარჩუნება (ეკონომიკური განვითარებითა და ანტიტერორისტულ საქმიანობაში თანამშრომლობით);
- 2) მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება (უცხოურ ბაზრებზე წვდომის შენარჩუნების მეშვეობით);
- 3) შიდა წესრიგის შენარჩუნება (იხილეთ პირველი და მეორე მიზანი);
- 4) საერთაშორისო სტატუსის შენარჩუნება (ევრაზიაში რეგიონული ძალის სტატუსის მოპოვებით).

²⁵ ინიციატივას თავდაპირველად „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ეწოდებოდა, თუმცა სახელი პოლიტიკური მიზეზებით შეიცვალა.

²⁶ Robert D. Blackwill and Ashley J. Tellis, „Revising U.S. Grand Strategy Toward China“, *Council on Foreign Relations*, Special Report No. 72, March 2015, წვდომის თარიღი 22 აგვისტო, 2017, პ. 10-17.



Economist.com


წყარო: The Economist

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივა შედგება სახმელეთო კომპონენტისა (აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი (SREB)) და საზღვაო კომპონენტისგან (21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა). აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მთავარი მიზანი ახალ და არსებულ სატრანსპორტო დერეფნებში ინვესტირებით, „ჩინეთსა და ევროპას შორის არსებული მანძილის შემცირებაა“²⁷. ინიციატივა მოიცავს 6 დერეფანს, რომელიც ჩინეთს ევროპასთან აკავშირებს სხვადასხვა სახმელეთო გზით (საქართველო პირდაპირაა ჩართული ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში).

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მრავალმხრივი მახასიათებლები ჩინეთს მაქსიმალურად აძლევს სტრატეგიული ბერკეტის გამოყენების საშუალებას. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთს ევროპასთან არაერთი დამაკავშირებელი გზა გააჩნია, ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოახერხებს ვაჭრობის ან ინვესტირების საკუთარი პირობების წამოყენებას. შესაბამისად, ეს არის ერთი სარტყელი, რომელსაც სხვადასხვა დამოუკიდებელი განშტოება აქვს. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა მიმართულია ორმხრივ შეთანხმებებზე ჩინეთსა და მის შედარებით მცირე პარტნიორებს შორის, მრავალმხრივი ჯგუფების ჩარევის გარეშე. ამგვარი ურთიერთობა ისეთ სისტემას გამოხატავს, სადაც პროდუქციის გადინება და შემოდინება ცენტრალური პუნქტის გავლით ხდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის მასშტაბი მონაწილე ქვეყნებს მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის სტიმულსაც აძლევს.

²⁷ Pieter Van Dijk, Patrick Martens, “The Silk Road and Chinese interests in Central Asia and the Caucasus: the case of Georgia” (პრეზენტაცია, MSM 2016 Research Conference, 30 აგვისტო, 2016 (გვ. 3)).

The Belt and Road Initiative: Six Economic Corridors Spanning Asia, Europe and Africa



წყარო: Hong Kong Trade Development Council

ჩინეთის სახელმწიფო „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას სამი სახელმწიფო ფინანსური ინსტიტუტით აფინანსებს: აბრეშუმის გზის ფონდი, ჩინეთის განვითარების ბანკი და ჩინეთის ექსპორტისა და იმპორტის ბანკი. „საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭოს“ შეფასებით, მხოლოდ ჩინეთის მთავრობას წლიურად იმხელა დაფინანსების გამოყოფა შეუძლია, რაც მსოფლიო ბანკსა და აზიის განვითარების ბანკს ერთად²⁸. ამასთან, პროექტისთვის დაფინანსებას გამოყოფს ჩინეთის ხელმძღვანელობით შექმნილი ორი საერთაშორისო ინსტიტუტიც: პეკინში დაფუძნებული აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) და შანხაიში დაფუძნებული ახალი განვითარების ბანკი (New Development Bank - NDB, რომელსაც ზოგჯერ BRICS – ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა - სახელმწიფოების ბანკად მოიხსენიებენ) – ჯამური 150 მლრდ. აშშ დოლარის რეგისტრირებული კაპიტალით. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებულ პროექტებს ასევე აფინანსებენ კერძო ინვესტორები ჩინეთიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტე-

²⁸ Mathieu Duchâtel, François Godement, Kadri Liik, Jeremy Shapiro, Louisa Slavkova, Angela Stanzel and Vessela Tcherneva, “Eurasian Integration: Caught Between Russia and China”, *European Council on Foreign Relations*, ბოლო ცვლილება 7 ივნისი, 2016, წვდომის თარიღი 10 ივლისი, 2017, http://www.ecfr.eu/article/essay_eurasian.

ბი 2016 წელს 401 მლრდ. აშშ დოლარად შეფასდა, რაც წინა წელთან შედარებით 2.1%-იან ზრდას წარმოადგენდა²⁹. 2.1%-იანი ზრდა მოკრძალებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „სარტყელისა და გზის ინიციატივაში“ მონაწილე ქვეყნების საშუალო ეკონომიკური ზრდა 2016 წელს შენედა. დამატებით 93 მლრდ. აშშ დოლარის ინვესტიცია მოხდა 2016 წელს „სარტყელისა და გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებულ შერწყმისა და შესყიდვის (mergers and acquisitions) შედეგად³⁰.

PWC-ის ანგარიშის მიხედვით, განხორციელებული პროექტების რაოდენობის მკვეთრად შემცირების მიუხედავად, ინიციატივის ფარგლებში უფრო მეტი ღირებულების გამო-მუშავების შედეგად, 2016 წელს პროექტის საშუალო ღირებულების გაზარდა გახდა შესაძლებელი³¹. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩინეთის მთავრობა, ისევე როგორც პროექტების განმახორციელებელი კომპანიები და ფინანსური ინსტიტუტები, პროექტების რაოდენობას მათ ხარისხს ამჯობინებენ, რასაც PWC „ხარისხისკენ სწრაფვას“ უწოდებს³². მოგების მაძიებელი ინვესტორები კი ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, საქართველოს მიანიჭებენ უპირატესობას, სუსტი ბიზნეს გარემოს მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით.

საქართველოს ადგილი „სარტყელისა და გზის ინიციატივაში“

ვინაიდან დოკუმენტში აქცენტი გაკეთებულია საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებზე, ანალიზი მხოლოდ აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს (SREB) შეეხება. საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავებისთვის ხსენებული ინიციატივის კონტექსტში. ჩინეთის Xinhua საინფორმაციო სააგენტოსთან 2017 წლის მაისის ინტერვიუში, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დიმიტი ქუმსიშვილმა ხაზი გაუსვა SREB ინიციატივაში საქართველოს ჩართულობას „რეგიონის დაკავშირების, ადამიანური კაპიტალის მიმოცვლისა და ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიმართულებით“³³.

საქართველო პირდაპირ არის ჩართული ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში, რომელიც SREB-ის ექვსი შემადგენელი დერეფნიდან ერთ-ერთი დერეფანია და აღმოსავლეთით ჩინეთს, ხოლო დასავლეთით თურქეთსა და შავ ზღვას აკავშირებს. საქართველო ჩინეთს ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფნის როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო სატრანზიტო მარშრუტებს სთავაზობს. საქართველო უზრუნველყოფს თურქეთთან სახმელეთო მიმოსვლას, განსაკუთრებით ბაქო-თბილისი-ყარსის

²⁹ Gabriel Wong, Simon Booker, and Guillaume Barthe-Dejean, “China and Belt & Road Infrastructure: 2016 review and outlook”, *PWC B&R Watch*, თებერვალი 2017: 9.

³⁰ იქვე, გვ. 11.

³¹ “China and Belt & Road Infrastructure: 2016 review and outlook”: 11.

³² იქვე.

³³ “Interview: Georgia to contribute to Belt and Road Initiative: deputy PM”, Xinhua News Agency, ბოლო ცვლილება 10 მაისი, 2017, წვდომის თარიღი 4 აგვისტო, 2017, http://news.xinhuanet.com/english/2017-05/09/c_136266698.htm.

რკინიგზის დახმარებით. რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ბოსფორის სრუტეზე აზიის ევროპასთან დამაკავშირებელ იავუზ სულთან სელიმის ხიდთან ერთად საქართველოს ევროპასთან უწყვეტი სარკინიგზო კავშირი ექნება³⁴. საქართველოს ასევე შეუძლია ევროპაში საზღვაო გასასვლელის უზრუნველყოფა ბათუმის, ფოთის და ანაკლიის პორტების მეშვეობით.

ამ შემთხვევაში, 2.5 მლრდ.აშშ დოლარის ღირებულების ანაკლიის შავი ზღვის ღრმა წყლის პორტი განსაკუთრებით ყურადსაღებია. პორტი, რომლის დასრულებაც 2020 წლისთვის იგეგმება, საქართველოს პირველი ღრმა წყლის (17 მეტრი სიღრმის) პორტი იქნება, რომლის გამტარობაც წლიურად 900,000 ოცი-ფუტის ეკვივალენტი ერთეული (Twenty-Foot Equivalent Units – TEU) იქნება, რაც ამ ეტაპზე საქართველოს უდიდესი პორტის – ფოთის პორტის გამტარობაზე 50%-ით მეტია³⁵. პორტის კომპლექსში ასევე იქნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რაც ბიზნესს პროდუქციის საექსპორტოდ წარმოებისას გადასახადისგან გაათავისუფლებს.

ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) მიერ შექმნილ სატრანსპორტო ხაზს ეფუძნება, რომლის ნევრიც საქართველო 1993 წელს გახდა³⁶. ჩინეთის გადანყვევტილება TRACECA-ს უკვე არსებული ინფრასტრუქტურის ჩანაცვლების მაგივრად, მისი გამოყენება ხაზს უსვამს „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფუნდამენტურ კონცეფციას: ჩინეთი ცდილობს შექმნას განსხვავებული და ინკლუზიური სატრანსპორტო დერეფნები, რომლებიც უკვე არსებული ინფრასტრუქტურულ ინიციატივებს დაემატება და შეავსებს.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივა საქართველოსთვის წარმოადგენს შესაძლებლობას გახდეს ორი ახლადშექმნილი რეგიონული ფორმატის GUAM-ისა და აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობის ინიციატივის დამაკავშირებელი ცენტრი. GUAM-ის ფარგლებში საქართველოს უნიკალური ადგილმდებარეობა აქვს შავი ზღვის პორტით ჩინეთის უკრაინასთან და მოლდოვასთან დასაკავშირებლად. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან უკრაინა-ჩინეთის ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წლის შემდეგ. 2015 წელს ჩინეთი უკრაინის სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო ნაწარმის უდიდესი მომხმარებელი და უკრაინის მთლიანი საექსპორტო პროდუქციის სიდიდით მეს-

³⁴ John C.K. Daly, “China deepens its presence in Georgia via its ‘One Road, One Belt’ initiative”, *The Central Asia-Caucasus Analyst*, ბოლო ცვლილება 12 დეკემბერი, 2016, წვდომის თარიღი 28 ივნისი, 2017, <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13413-china-deepens-its-presence-in-georgia-via-its-one-road-one-belt-initiative.html>.

³⁵ Joseph Larsen, “Georgia: The Black Sea Hub for China’s ‘Belt and Road’”, *The Diplomat*, ბოლო ცვლილება 3 მაისი, 2017, წვდომის თარიღი 7 აგვისტო, 2017, https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwilt-VktvVAhXqO5oKHUpkBDMQFggkMAA&url=http%3A%2F%2Fthediplomat.com%2F2017%2F05%2Fgeorgia-the-black-sea-hub-for-chinas-belt-and-road%2F&usq=AFQjCNGn-8pRvhl1HvTQ2-_6p5mm1tuLkqg.

³⁶ ჯერ კიდევ ოფიციალურად ფუნქციონირების მიუხედავად, TRACECA წარუმატებელ პროექტად მიიჩნევა. 1993 წელს მისი წამოწყებიდან დღემდე, ევროკომისიამ, რომელიც ამ პროცესის წამყვან ძალად ითვლება, TRACECA-ს ჯამში 178 მლნ. ევროს მოცულობის მხოლოდ 85 პროექტი დააფინანსა.

ამე მომხმარებელი იყო³⁷. 2015 წელს უკრაინა ფორმალურად შეუერთდა SREB-ის ინიციატივას და ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტით (TITR), საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გავლით ჩინეთში მატარებელი გაგზავნა³⁸.

ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ინიციატივაში (TITR) მონაწილეობასთან ერთად, საქართველომ უკრაინასთან ინფრასტრუქტურული კავშირები გააძლიერა. ანაკლიის შავი ზღვის ღრმა წყლის პორტის დასრულება ხელს შეუწყობს ორმხრივი ვაჭრობის განვითარებას³⁹. ახალ პორტს შესაძლებლობა ექნება მოემსახუროს უკრაინიდან მომავალ და უკრაინაში გასაგზავნ 10,000 TEU საკონტეინერო გემს, რისი შესაძლებლობაც ბათუმისა და ფოთის პორტებს ამ ეტაპზე არ აქვთ. იმის გათვალისწინებით, რომ GUAM-ის ყველა ქვეყანა „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში სხვადასხვა ხარისხით არის ჩართული, მათ ინფრასტრუქტურისა და ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის დამატებითი სტიმული ეძლევათ.

საქართველოს შეუძლია, ასეთივე როლი ითამაშოს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატში. თანამშრომლობის ფორმატი 2012 წლის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის შემდეგ ტრაბზონის დეკლარაციით შეიქმნა. შესაბამისად, ინიციატივა როგორც რეგიონული თანამშრომლობის შედეგი, ისე მისი მამოძრავებელი ძალაა. სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატის პირველადი ფუნქცია აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან ენერჯო რესურსების თურქეთში ტრანსპორტირების უზრუნველყოფაა, სადაც საქართველოს გეოგრაფიული ხიდის ფუნქცია აქვს⁴⁰. სამ ქვეყანას უკვე აკავშირებს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფნის ნაწილია. აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი ეკონომიკური თანამშრომლობის „გადაღვრის“ ეფექტის გამოვლინებაა: 2014 წლიდან ქვეყნები ყოველწლიურ თავდაცვის მინისტერიალში იღებენ მონაწილეობას⁴¹.

³⁷ www.trademap.org, accessed August 7, 2017.

³⁸ “Ukraine expects new infrastructure projects from Belt and Road forum: deputy minister”, *Xinhua News Agency*, ბოლო ცვლილება 1 მაისი, 2017, წვდომის თარიღი 9 აგვისტო, 2017, http://news.xinhuanet.com/english/2017-05/01/c_136247844.htm.

³⁹ “Anaklia port – Georgia’s key to the new ‘Silk Road’ of the 21st century”, *Front News International*, ბოლო ცვლილება 6 აგვისტო, 2017, წვდომის თარიღი 14 აგვისტო, 2017, <https://frontnews.eu/news/en/9871/Anaklia-port-Georgias-key-to-the-new-Silk-Road-of-the-21st-century>.

⁴⁰ Michael Hikari Cecire “Turkey-Georgia-Azerbaijan: Trilateralism and the Future of Black Sea Regional Geopolitics”, *The Central Asia-Caucasus Analyst*, ბოლო ცვლილება 16 ოქტომბერი, 2013, წვდომის თარიღი 3 აგვისტო, 2017, <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/12837-turkey-georgia-azerbaijan-trilateralism-and-the-future-of-black-sea-regional-geopolitics.html>.

⁴¹ Zaur Shiriyev, “Institutionalizing a Trilateral Strategic Partnership: Azerbaijan, Georgia, Turkey”, *Konrad Adenauer Stiftung*, 2016, წვდომის თარიღი 6 სექტემბერი, 2017, http://www.kas.de/wf/doc/kas_43884-1522-1-30.pdf?160111112351.

გეოპოლიტიკური შედეგები

ჩინეთის მაღალჩინოსნები ცდილობენ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა გეოპოლიტიკური წამოწყების ნაცვლად, ეკონომიკურ წამოწყებად წარმოაჩინონ. ეს წამოწყება მოიხსენიება, როგორც „ინიციატივა“ და არა როგორც „სტრატეგია“. როგორც ჩინეთის საგარეო მინისტრმა უანგ იმ 2015 წელს განაცხადა, აღნიშნული ინიციატივა არ არის „გეოპოლიტიკის ინსტრუმენტი“⁴².

2015 წელს ჩინეთის ეროვნული განვითარებისა და რეფორმების კომისიის მიერ გამოქვეყნებულ თეთრ წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის მიზანი „ფართო და ღრმა რეგიონული თანამშრომლობა“ (ავტორის ხაზგასმა)⁴³. თეთრ წიგნში წარმოდგენილია ხუთი „კავშირი“, რომელიც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში მოექცევა. ამ ხუთი „კავშირიდან“ სამი ეკონომიკური (ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა, ფინანსები), ხოლო ორი სტრატეგიულია (პოლიტიკის კომუნიკაცია და „ხალხის აზროვნებასთან დაკავშირება“)⁴⁴. როგორც თეთრ წიგნშია აღნიშნული, ჩინეთის მთავრობის მიზანია „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა სუვერენულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ღია და ინკლუზიური ფორმატის ინიციატივა იყოს, რომელიც კონკურენციას არ გაუწევს ინსტიტუციონალიზებულ რეგიონულ სტრუქტურებს. მაგალითად, ისეთებს, როგორიცაა ევროკავშირი და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივა ეკონომიკური ინიციატივაა. თუმცა, მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც თვალსაჩინოა. ვაჭრობა და ინვესტირება პოლიტიკურ ვაკუუმში არ ხორციელდება. ქვეყნები ვერ განახორციელებენ გეო-ეკონომიკურ საქმიანობას გეოპოლიტიკაში ჩართვის გარეშე. რობერტ გილპინის თქმით, „ეკონომიკური საქმიანობის მიზნები და ბაზრების როლი ამ მიზნების მისაღწევად განისაზღვრება პოლიტიკური პროცესით და საზოგადოების მიერ სახელმწიფოსთვის დელეგირებული პასუხისმგებლობებით“⁴⁵. კერძო ჩინური კომპანიების საბაზრო მოქმედებებიც კი პოლიტიკური შეხედულებების გავლენის ქვეშ ექცევა.

თეთრ წიგნში წარმოდგენილია კონკრეტული გეოპოლიტიკური მიზნები, რომლებიც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას „მულტიპოლარული მსოფლიოს ტენდენციასთან მორგების“ საშუალებად წარმოაჩენს. ეს კი პირდაპირ უკავშირდება საერთაშორისო ასპარეზზე ჩინე-

⁴² “China’s 2015 diplomacy focuses on ‘Belt and Road’”, *Chinadaily.com*, ბოლო ცვლილება 3 მარტი, 2015, წვდომის თარიღი 5 ივლისი, 2017, http://www.chinadaily.com.cn/china/2015twosession/2015-03/08/content_19750295_2.htm.

⁴³ “Vision and Actions on Jointly Building Silk Road Economic Belt and 21st-Century Maritime Silk Road”, National Development and Reform Commission, Ministry of Foreign Affairs, and Ministry of Commerce of the People’s Republic of China, ბოლო ცვლილება 28 მარტი, 2015, წვდომის თარიღი 5 ივლისი, 2017, http://en.ndrc.gov.cn/newsrelease/201503/t20150330_669367.html.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ Robert Gilpin, *Global Political Economy: Understanding the International Economic Order* (Princeton University Press, 2001): 24.

თის, როგორც მზარდი ძალაუფლების მქონე ქვეყნის, სტატუსს და ამერიკის შეერთებული შტატების შედარებით დასუსტებას⁴⁶. ნებით თუ უნებლიეთ, ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური ჩართულობა ჩინეთის მთავრობას რეგიონის სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესს გაუღვიძებს. აშშ-ში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მკვლევარის თქმით, „პეკინი ცდილობს ‘სარტყელისა და გზის’ ინიციატივის საშუალებით გაზარდოს ჩინეთის ზეგავლენა აზიაში და მის მიღმა“⁴⁷.

2012 წელს, პეკინის უნივერსიტეტის საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების დეკანმა და ჩინეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა აკადემიკოსმა – ვანგ ძისმა ობამას აზიისკენ რეორიენტაციის სტრატეგიის საპასუხოდ, ჩინეთის „დასავლეთისკენ მარშის“ სტრატეგიის შესახებ განაცხადა⁴⁸. ვანგის იდეას სტრატეგიის მიზანშეწონილობის და სხვა ქვეყნების მხრიდან შესაძლო რეაქციების დასადგენად ყურადღებით სწავლობდნენ ჩინეთის პოლიტიკოსები. ვანგს და დასავლეთისკენ მარშის სტრატეგიის სხვა მხარდამჭერებს ეს გზა აშშ-სთან ურთიერთობების მართვის მახვილგონივრულ სტრატეგიად მიაჩნიათ: ორ ქვეყანას რეგიონში საერთო ინტერესები აერთიანებს და ჩინეთის მეტი ჩართულობა დამატებითი სტრატეგიული ბერკეტი აშშ-სთან ურთიერთობაში, რომელსაც ძლიერი მოკავშირეები ჭირდება ავღანეთისა და პაკისტანის სტაბილიზაციის პროცესში მხარდასაჭერად.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივის გეოპოლიტიკური მიზნები ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. თუმცა, უდავოა, რომ პროექტს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური კომპონენტი ექნება ევრაზიაში ჩინეთის, როგორც დომინანტი სახელმწიფოს სტატუსის გასამყარებლად. ამას კი საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევრაზიის რეგიონის ტრადიციულ ჰეგემონთან – რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების გამო. ჩინეთის ურყევ ჩართულობას შეუძლია შეცვალოს რუსეთის სტრატეგიული გათვლები საქართველოში და მთლიანად რეგიონში.

ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობები „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის კონტექსტში

რუსეთისთვის „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის შედეგები კომპლექსურია. 2015 წელს რუსეთმა თანხმობა განაცხადა ინიციატივისთვის მხარი დაეჭირა პროექტთან დაკავშირებით არსებული მღელვარების მიუხედავად. 2015 წლის მაისში რუსეთმა და ჩინეთმა „სარტყელისა და გზის“ ინიციატივასა და რუსეთის ხელმძღვანელობით შექმნილ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს შორის პარტნიორობის შესახებ განაცხადეს. ჩინეთის პრეზიდენტ

⁴⁶ *Global Political Economy*: 24.

⁴⁷ Xiaoyu Pu, “One Belt, One Road: Visions and Challenges of China’s Geoeconomic Strategy”, *Academia.edu*, წვდომის თარიღი 15 ივნისი, 2017: 115.

⁴⁸ Yun Sun, “March West: China’s Response to the U.S. Rebalancing”, *The Brookings Institution*, ბოლო ცვლილება 31 იანვარი, 2013, წვდომის თარიღი July 5, 2017, <https://www.brookings.edu/blog/up-front/2013/01/31/march-west-chinas-response-to-the-u-s-rebalancing/>.

სი ძინპინთან შეხვედრის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხაზი გაუსვა „ევრაზიის ეკონომიკური კავშირისა და აბრეშუმის გზის პროექტების ინტეგრაციის“ მნიშვნელობას და ორი ქვეყნის ინტერესს „კონტინენტზე საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ“⁴⁹. რუსეთი „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში SREB-ის ორ დერეფანშია ჩართული: ჩინეთი-მონღოლეთი-რუსეთის დერეფანი და ახალი ევრაზიული სახმელეთო ხიდი. რუსეთი „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას ევრაზიული ეკონომიკური კავშირის გლობალურ დონეზე ლეგიტიმაციის და ჩინეთის ინვესტიციების რუსეთსა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის სხვა ქვეყნებში გადამისამართების მექანიზმად აღიქვამს⁵⁰. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას, შესაძლოა, ცენტრალური აზიის ენერგორესურსების ევროპიდან ჩინეთისკენ მიმართვა და, შესაბამისად, რუსეთის რესურსებზე ევროპის მოთხოვნის გაზრდა მოყვავს, რაც რუსეთის ენერგო მწარმოებლებს შეუწყობს ხელს⁵¹.

როგორც ოფიციალური განცხადებებიდან ირკვევა, ჩინეთი და რუსეთი ამ ორ ინიციატივას ახასიათებენ, როგორც ერთმანეთის შემავსებელს, და არა, როგორც ერთმანეთის კონკურენტს. ჩინეთი აზიაში ეკონომიკური განვითარების ლიდერ ქვეყნად აღიქმება, მაშინ როდესაც რუსეთი უსაფრთხოებისა და სამხედრო ტექნიკის უზრუნველმყოფი სახელმწიფოა. ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ რუსეთმა „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში მონაწილეობა ევროპისგან მზარდი იზოლაციისგან თავის დასაცავად გადანიშნა, მაშინ როდესაც ჩინეთი ცენტრალურ აზიაში რუსეთის სამხედრო ყოფნით სარგებლის მიღებას ცდილობს. ჩინეთი რუსეთს ცენტრალურ აზიაში სტაბილურობის და ანტი-ტერორისტული მოქმედებების მხარდაჭერის მიმართულებით მნიშვნელოვან მოთამაშედ აღიქვამს და განსაკუთრებულ ყურადღებას ყირგიზეთის არასტაბილურობასა და ჩინეთის დასავლეთ პროვინციას – სინძიანს უთმობს.

ზემოთ აღწერილი ორი როლი ერთმანეთისგან ვერ გაიმიჯნება. რუსეთმა ბოლო პერიოდში ევროკავშირთან იზოლაციით გამონეული ეფექტის შესუსტების მიზნით ყურადღება აღმოსავლეთზე გადაიტანა. იგი ჩინეთზე ძირითადად ეკონომიკურადაა დამოკიდებული და ჩინეთის მიერ აღიქმება როგორც უმცროსი პარტნიორი. თუ რუსეთისთვის მისაღები არ არის დაქვემდებარებულის როლში განუსაზღვრელი ვადით ყოფნა, ამჟამინდელი შეთანხმება მდგრადი სტრატეგიული პარტნიორობის წინაპირობა ვერ იქნება. ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთი საბოლოოდ დაუბალანსებელი ძალთა დინამიკით დაიღლება. თუ ჩინეთის ეკონომიკა ზრდას, ხოლო რუსეთის

⁴⁹ “Russia, China agree to integrate Eurasian Union, Silk Road, sign deals”, *RT*, May 8, 2015, წვდომის თარიღი 10 ივლისი, 2017, https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwiDyt6gldvVAhWkdpoKHZoMBB4QFggoMAA&url=https%3A%2F%2Fwww.rt.com%2Fbusiness%2F256877-russia-china-deals-cooperation%2F&usg=AFQjCNFqVoOc3Fow_NSKeLu-WaQ4C2n32ZA.

⁵⁰ Richard Ghasy and Jiayi Zhou, “The Silk Road Economic Belt: Considering security implications and EU-China cooperation prospects”, *Stockholm International Peace Research Institute*, February 2017, წვდომის თარიღი 15 ივლისი, 2017: 40-41.

⁵¹ იქვე.

ეკონომიკა სტაგნაციას გააგრძელებს, ჩინეთის ბერკეტი რუსეთის წინააღმდეგ, დიდი ალბათობით, მხოლოდ გაძლიერდება. ამასთან, რუსეთი „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის მონაწილე მრავალი ქვეყნიდან მხოლოდ ერთ-ერთია. ჩინეთს სხვა მრავალი არჩევანი ექნება ევროპაში საქონლის ტრანსპორტირება რუსეთის გვერდის ავლით განახორციელოს.

მაშინ როდესაც რუსეთის ოფიციალური პირები ფრთხილობდნენ, რომ არ გაემჟღავნებინათ რეალური ან შესაძლო ბზარი რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებში, ზოგიერთი რუსი ექსპერტი თავს არ არიდება უფრო ღიად საუბარს. 2009 წლის ინტერვიუში („სარტყელისა და გზის“ ინიციატივის დაანონსებამდე) მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის ექსპერტმა მიხაილ ტროიციკიმ შეაფასა რუსეთის ეჭვები ჩინეთის მიმართ:

„ჩვენ ასევე ეჭვის თვალთ ვუყურებთ ჩინეთის მოქმედებებს ცენტრალურ აზიასა და აფრიკაში. ამჟამად დებატები მიმდინარეობს იმაზე, თუ როგორ ცდილობს ჩინეთი რუსეთის დამორჩილებას. ჩინეთს ბევრი აღიქვამს მოწინააღმდეგედ და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ჩინეთიდან მომავალი შესაძლო საფრთხისთვის – განსაკუთრებით, შორეულ აღმოსავლეთში, სადაც არსებობს შიში, რომ რეგიონი ჩინეთის ორბიტაზე მოექცევა.“⁵²

კიდევ ერთმა რუსმა სინოლოგმა აღნიშნა ჩინეთის ჩართულობა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში და ცენტრალურ აზიაში და განაცხადა, რომ „ჩინეთი [რუსეთისთვის] კონკურენტი და თავის ტკივილი ხდება“⁵³.

ამასთან, ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა ერთმანეთთან არც იმდენად თავსებადია, როგორც რუსეთისა და ჩინეთის ოფიციალური პირები ამტკიცებენ. ორ ინიციატივას რადიკალურად განსხვავებული ინსტიტუციონალური დიზაინი აქვს – ევრაზიის ეკონომიკური კავშირი რეგიონული და პროტექციონისტული ორგანიზაციაა, „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა კი ექსტრა-რეგიონული და ინკლუზიური⁵⁴. ჩინეთი „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას უყურებს როგორც მოქნილ პროექტს, რომელიც ჩანაცვლების მაგივრად, შეავსებს სხვა რეგიონულ ინიციატივებს. მაგალითად, ჩინეთისთვის რუსეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი პროექტის მთავარი პარტნიორები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამი ქვეყანა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრია. პრობლემა კი ისაა, რომ ინიციატივას რუსეთი ინკლუზიურობისა და მოქნილობის პრინციპით არ პასუხობს. ევრაზიის ეკონომიკური კავშირი საბაჟო კავშირია, რომელიც არანევრი ქვეყნების, მათ შორის, ჩინეთის პროდუქციაზე მაღალ ტარიფებს აწესებს. აღნიშნულმა პრობლემების წინაშე უკვე დააყენა ყირგიზეთი, რომელსაც ჩინურ საქონელზე ტარიფების გაზრდა მოუწია ევრაზიის ეკონომიკური კავშირის გარე ტარიფების პოლიტიკასთან შესაბამისობაში ყოფნის მიზნით, რამაც ქვეყანაში სამომხმარებლო საქონელზე ფასის ზრდა

⁵² David Shambaugh, *China Goes Global: The Partial Power* (New York: Oxford University Press, 2014): 85.

⁵³ იქვე.

⁵⁴ “The Silk Road Economic Belt: Considering security implications and EU-China cooperation prospects”: 40.

გამოიწვია⁵⁵. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა უფრო დიდ ეკონომიკურ სარგებელს იძლევა ვიდრე ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, რაც მეტ მოქნილობაში, მეტ გლობალურ კავშირებსა და უცხოურ ინვესტიციებზე მეტ ხელმისაწვდომობაში გამოიხატება.

სამომავლოდ, დაძაბულობას გააღრმავებს ჩინეთის მხრიდან დიპლომატიის ორმხრივ ფორმატში გადატანის გადაწყვეტილება, რის გამოც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა გახდება ორმხრივი შეთანხმებების მასიური ქსელი. ამ შემთხვევაში, ჩინეთისა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის მცირე ქვეყნებს შორის ურთიერთობა, რუსეთს განსაკუთრებული სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას არ მისცემს. ამდენად, ურთერთთვისებადობაზე საუბრის მიუხედავად, ჩინეთისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული არ არის.

გეოპოლიტიკური შედეგები საქართველოსთვის

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სამხრეთ კავკასიაში რუსეთისა და ჩინეთის დაპირისპირების მანიშნებელი, რუსეთის სახელმწიფოებრიობის და უსაფრთხოების აღქმაში რეგიონს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შესაბამისად, რეგიონში ჩინეთის ჩართულობა რუსეთის გარკვეული პოლიტიკური წრეებისთვის საფრთხედ იქნება აღქმული. საქართველოს მთავრობამ უნდა განავითაროს სტრატეგია რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების საპასუხოდ, რომელიც, ერთი მხრივ, უნდა იყოს ფრთხილი, მაგრამ ამასთან ითვალისწინებდეს ურთიერთობით მიღებულ შესაძლებლობებსაც. მაგალითად, ეკონომიკური და სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს ჩინეთის მეტ ჩართულობას. ჩინეთთან სავაჭრო და საინვესტიციო კავშირები არამხოლოდ ეკონომიკური ზრდისთვის იქნება მნიშვნელოვანი, არამედ საქართველოს გაუჩნდება შესაძლებლობა შეამსუბუქოს წნეხი რუსეთის მხრიდან. როგორც რუმერი, სოკოლსკი და სტრონსკი აღნიშნავენ:

„მიუხედავად იმისა, რომ პეკინი და თბილისი უფრო ეკონომიკურ სფეროში არიან პარტნიორები, ვიდრე უსაფრთხოების სფეროში, საქართველოში ჩინურ ინვესტიციებს უსაფრთხოების მიმართულებითაც შეუძლია გაუთვალისწინებელი სარგებლის მოტანა. პეკინზე მოსკოვის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების ფონზე, საქართველოში ჩინეთის ყოფნა რუსეთისთვის, სავარაუდოდ, ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის ფასს გაზრდის.“⁵⁶

⁵⁵ “The Eurasian Economic Union: Power, Politics and Trade”, *International Crisis Group, Europe and Central Asia Report #240* (2016): 11.

⁵⁶ Eugene Rumer, Richard Sokolsky, and Paul Stronsky, “U.S. Policy Toward the South Caucasus: Take Three”, *Carnegie Endowment*, May 31, 2017, წვდომის თარიღი 1 ივნისი, 2017, <http://carnegieendowment.org/2017/05/31/u.s.-policy-toward-south-caucasus-take-three-pub-70122>.

ადვილად წარმოსადგენია ჰიპოთეტური სცენარი, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ძალის მნიშვნელოვანი გაზრდით ან სამხედრო მოქმედებების ან ეკონომიკური სანქციების მუქარით რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ დაპირისპირების ესკალაციის საფრთხეს ქმნის. ასეთი სცენარი წინააღმდეგობაში მოვა ჩინეთის ინტერესებთან, იმის შესაბამისად, თუ რამდენადაა ჩინეთი საქართველოსთან დაკავშირებული. ჩინეთზე რუსეთის ეკონომიკური და დიპლომატიური დამოკიდებულების ფონზე, ჩინეთს რუსეთზე გავლენის მოხდენა შეუძლია ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით. ჩინეთმა, შესაძლოა, შეწყვიტოს რუსეთსა და სხვა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში ინვესტიციების განხორციელება და, ამასთან ერთად, ბერკეტად საქონლის ვაჭრობით მიღებული ხელსაყრელი პოზიცია გამოიყენოს⁵⁷. როგორც ფინანსური რესურსით მდიდარი უფროსი პარტნიორი, ჩინეთის ხელში უფრო მძლავრი ბერკეტია. ამასთან, ჩინეთზე მზარდი ეკონომიკური დამოკიდებულება შესაძლოა რუსეთისთვის ირიბი მაკონტროლებელი ძალა აღმოჩნდეს ესკალაციის თავიდან ასაცილებლად.

ამის მიუხედავად, ჩინეთსა და რუსეთს შორის დაძანულობას შეუძლია გარკვეული პრობლემები საქართველოსაც შეუქმნას. თუკი რუსეთი გადაწყვეტს, რომ მისი ინტერესები აღარ ემთხვევა „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას, შესაძლებელია ჩარევა სხვა გზით, მაგალითად ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ქვეყნების გადარწმუნებით, რომ მათ მონაწილეობა არ მიიღონ ინიციატივაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა შეიძლება საქართველოზე პირდაპირი გავლენა არ იქონიოს, პროექტის წარუმატებლობა ჩინეთისთვის საქართველოში ინვესტირებას ნაკლებად მიმზიდველს გახდის. შესაბამისად, გამოსავალი დელიკატური ბალანსის მოძებნაშია: საქართველოსთვის აუცილებელია ჩინეთის ჩართულობა ეკონომიკური ზრდის და რუსეთის მხრიდან წნეხის შემსუბუქების მიზნით, მაგრამ არა იმ დონეზე, რომ რუსეთისგან უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს.

⁵⁷ რუსეთი უფრო მეტად არის დამოკიდებული ორმხრივ ვაჭრობაზე. 2016 წლისთვის, რუსეთის მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 14.1% ჩინეთთან ვაჭრობაზე მოდიოდა. ამასთან, 2015 წელს რუსეთის ბაზრის მხოლოდ 2% მოდიოდა ჩინეთის იმპორტზე და 1.5% მის ექსპორტზე. (წყარო: EY, World Bank).

საპარაულლო ნარუმატებლობა

როგორც ნებისმიერი ამბიციური საერთაშორისო ინიციატივა, არის შესაძლებლობა, რომ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივამ კრახი განიცადოს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, რადგანაც ინიციატივა უფრო კონცეფციაა, ვიდრე მკაფიოდ განსაზღვრული პროექტების ერთობლიობა, მისი წარმატების ან წარუმატებლობის გაზომვა რთული იქნება. მეორე, ინიციატივა ეყრდნობა ისეთი ქვეყნების თანამშრომლობას, რომელთაც განსხვავებული მიზნები, პერსპექტივები და ზოგიერთ შემთვევაში ისტორიულად ომის და ეთნიკური და რელიგიური შუღლის მემკვიდრეობა აქვთ. ბოლოს, პროექტის წარმატებისთვის ჩინეთის მიერ გამოყოფილ საინვესტიციო თანხებზე მეტია საჭირო.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა პროექტის სათანადოდ განხორციელება, „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა წარსულში წარუმატებლად განხორციელებული არაერთი გრანდიოზული ინიციატივის ბედს გაიზიარებს და მოგების არქონის გამო საბოლოოდ გაქრება. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ინიციატივა საბაზრო პრინციპებს მიყვება, სკეპტიკოსების, მაგალითად, Fitch-ის რეიტინგის მიხედვით, ინიციატივასთან დაკავშირებული პროექტები ადეკვატურ ფინანსურ შემოწმებას არ გაივლიან⁵⁸.

ამასთან, ჩინეთის ბანკებს არასახარბიელო წარსული აქვთ ინფრასტრუქტურული პროექტების რისკების მართვისა და რესურსების ეფექტურად გადანაწილების მიმართულებით. არსებობს რისკი, რომ პოლიტიკური მიზნები ფინანსურ ლოგიკაზე მაღლა დადგება, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად შეამცირებს პროექტის მომგებიანობას. ჩინეთის მთავრობამ სცადა რისკების შემცირება. აგვისტოში ეროვნული განვითარებისა და რეფორმის კომისიამ განაცხადა, რომ დაიწყებდა იმ ჩინური კომპანიების ფინანსური რისკების მართვის მიმართულებით ხელმძღვანელობას, რომლებიც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში განხორციელებდნენ ინვესტიციებს⁵⁹.

ამასთან, ინიციატივის განხორციელებას უსაფრთხოების საკითხებმა შეიძლება შეუშალოს ხელი. წელს პაკისტანში ტერორისტებმა ორი სხვადასხვა ინციდენტის დროს ჩინეთის 12 მოქალაქე მოკლეს. მნიშვნელოვანია ასევე ზოგიერთი მონაწილე ქვეყნის ანტი-ჩინური სენტიმენტებიც. პრობლემამ თავი ცენტრალური აზიის რამდენიმე ქვეყანაში უკვე იჩინა: ჩინელების მიერ მიწის კონტროლს პროტესტი მოყვა 2016 წელს ყაზახეთში, ხოლო იმავე წელს ყირგიზეთში ჩინეთის საელჩო დაბომბეს. ანტი-ჩინური განწყობები საქართველოშიც შეინიშნება: 2014 წელს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ჩინეთის ექსპანსიას არ დაუშვებდა⁶⁰.

⁵⁸ “Fitch: China’s One Belt, One Road Initiative Brings Risks” *Reuters*, ბოლო ცვლილება 26 იანვარი, 2017, წვდომის თარიღი 9 აგვისტო, 2017, <http://www.reuters.com/article/idUSFit987609>.

⁵⁹ “China to Curb ‘Irrational’ Overseas Belt and Road Investment-State Planner” *Reuters*, ბოლო ცვლილება 18 აგვისტო, 2017, წვდომის თარიღი 21 აგვისტო, 2017, <https://www.reuters.com/article/us-china-economy-odi-idUSKCN1AY0FN>.

⁶⁰ “Newsletter #16”, *Media Development Fund*, წვდომის თარიღი 7 აგვისტო, 2017, <http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//16%20ENG-MDF-GDI%20Newsletter.pdf>.

ბოლოს, „სარტყელისა და გზის“ ინიციატივისთვის საქართველოს მნიშვნელობა არ უნდა აღიქმებოდეს მოცემულობად. საქართველოს აქვს შესაძლებლობა გახდეს სატრანსპორტო და ლოჯისტიკური კვანძი ევროპასა და აზიას შორის, თუმცა მას კონკურენციას მაინც უწევენ რუსეთი და ისეთი ზღვისპირა ქვეყნები, როგორცაა ირანი და პაკისტანი (რომლებიც 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის მონაწილეები არიან). არსებული შესაძლებლობით სარგებლობისათვის, საქართველოს მთავრობამ და კერძო სექტორმა უნდა მოახდინოს დემოსტრირება, თუ რატომ არის ქვეყანა ურყევი ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის ღირსი.

დასკვნა

საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებმა ორ ქვეყანას შორის 1992 წელს დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებით დაიწყო სწრაფად განვითარება. ორმხრივი კავშირები შესამჩნევია ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკითხებში, რაც 2017 წლის მაისში ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით გამოიხატა. ჩინეთის სამომხმარებლო ბაზარზე გაზრდილი დაშვება და ჩინეთიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკური განვითარების წინაპირობა იქნება. ეკონომიკური ურთიერთობები სხვადასხვა სფეროებში, უფრო კონკრეტულად კი დიპლომატიისა და (სავარაუდოდ) უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის წინაპირობასაც ქმნის. ეკონომიკური ჩართულობის გაძლიერებასთან ერთად, ჩინეთს საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნების მეტი ინტერესი ექნება. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში საქართველოს მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავების და მეზობელ ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატს ქმნის. ეს კი საქართველოს რეგიონული პროფილის გამოკვეთაში დაეხმარება.

საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და GUAM-სა და აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამხრევი თანამშრომლობის ფორმატს შორის პოზიციონირება ქვეყანას საშუალებას მისცემს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი გახდეს. საქართველოს შეუძლია ჩინეთსა და ევროპას შორის მანძილი შეამციროს, რაც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის უმთავრესი მიზანია. ამასთან, მომსახურების სექტორში უპირატესობებს ქმნის საქართველოს ძლიერი ბიზნეს და სარეგულაციო გარემო, რაც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის კიდევ ერთი კომპონენტია.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში ჩინეთთან გაღმავებული თანამშრომლობა რუსეთის მხრიდან წნეხის შემსუბუქებით საქართველოს უსაფრთხოების გარემოსთვისაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის. როგორც ინიციატივის უმცროსი პარტნიორი, რუსეთს არ გააჩნია საკმარისი ბერკეტი ფინანსურად გაცილებით ძლიერ ჩინეთთან ურთიერთობაში. პეკინს შეუძლია რეგიონში, მათ შორის, საქართველოშიც, რუსეთის სამხედრო აგრესიის ფასი გაზარდოს. რუსეთის სტრატეგიული გათვლების ცვლილებით, რეგიონში ჩინეთის მზარდი ჩართულობა, შესაძლოა, საქართველოს დაეხმაროს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მთავარი მიზნის მიღწევაში - რუსეთის მხრიდან საფრთხის შემცირებაში.

რეკომენდაციები

- მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების სრული და ეფექტური განხორციელება. ეს საქართველოს საშუალებას მისცემს, გახდეს სავაჭრო ცენტრი ევროპასა და აზიას შორის, გაზარდოს საექსპორტო მრეწველობა და გახდეს მიმზიდველი ქვეყანა უცხოელი, მათ შორის, ჩინელი ინვესტორებისთვის.
- საქართველოს შიდა პოლიტიკა თანხვედრაში უნდა იყოს ჩინელი ინვესტორების მიზნებთან. მთავრობამ, მისი მიზნებისა და პრიორიტეტების ნათლად ჩამოყალიბების მიზნით, უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა ჩინეთთან ურთიერთობაში. სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მიდგომებს ჩინეთის მხრიდან საქართველოში ინვესტიციის წახალისებისთვის. უფრო კონკრეტულად, მთავრობამ და ბიზნეს ასოციაციებმა აქტიურად უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ საქართველო ჩინეთის პიდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელების ადგილი გახდეს. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა 2014 წლის შემდეგ შემცირდა, რაც მეტად კონცენტრირებული მიდგომის საჭიროებას წარმოაჩენს.
- საქართველომ უნდა ისარგებლოს თავისი უნიკალური მდგომარეობით GUAM-ისა და სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატში და გახდეს დამაკავშირებელი ხიდი აზიასა და ევროპას შორის. უფრო კონკრეტულად, საქართველოს შეუძლია ჩინეთ-თურქეთისა და ჩინეთ-უკრაინის სავაჭრო და ინფრასტრუქტურული მარშუტების ცენტრი გახდეს.
- საქართველომ უნდა გააუმჯობესოს შიდა ინფრასტრუქტურა და მმართველობა იმისათვის, რომ გახდეს უფრო მიმზიდველი ეკონომიკური პარტნიორი. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის წარმატებით დასრულებასთან ერთად, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს სარკინიგზო კავშირი პორტებთან, განსაკუთრებით, ანაკლიის შავი ზღვის ღრმა წყლის პორტთან.
- მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული განვითარება. თუმცა, საქართველოს ასევე შეუძლია გამოიყენოს მომსახურების სექტორში რეგიონული ლიდერის პოზიცია. უფრო კონკრეტულად, საქართველომ მთავრობამ და კერძო სექტორმა ყურადღება უნდა გაამახვილონ საბანკო, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციის სექტორის განვითარებაზე, იმისათვის, რომ ქვეყანა რეგიონული მომსახურების ცენტრად გადაიქცეს. აღნიშნული სექტორების შედარებითი უპირატესობა დაემატება „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში განხორციელებულ ინვესტიციას ფიზიკური ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რაც ასევე შეამცირებს საქართველოს დამოკიდებულებას სატრანსპორტო კვანძის ფუქნქციაზე.

- საქართველო ყურადღებით უნდა დააკვირდეს ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობებს. საქართველომ უნდა სცადოს ჩინეთთან ურთიერთობის თავის სასარგებლოდ გამოყენება და რუსეთთან პოზიციის გამყარება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი ძალა ერთმანეთთან არ დააპირისპიროს. ჩინეთთან გაღრმავებულმა ურთიერთობებმა არ უდნა გამოიწვიოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად დაძაბვა.
- ჩინეთი უნდა განიხილებოდეს როგორც არჩევანი და არა როგორც ალტერნატივა. ჩინეთი მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის წყაროა, რომელსაც რეგიონში სტაბილურობისთვის ხელშეწყობა და რუსეთს მხრიდან წნეხის შემსუბუქება შეუძლია. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, ჩინეთი რეგიონში სამხედრო ძალით ჩაერთოს და ის ნამდვილად ვერ ჩაანაცვლებს ნატოს, როგორც უმთავრეს პარტნიორს უსაფრთხოების სფეროში. ჩინეთთან ურთიერთობები უნდა შეეთავსოს საქართველოს ევრო-ატალანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესს.



ჯოსეფ ლარსენი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსთა გუნდს 2016 წელს შეუერთდა. ამჟამად მისი კვლევის სფეროა უსაფრთხოებისა და რეგიონული ინტეგრაციის საკითხები, მათ შორის, ჩინეთის „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა, ნატოში ინტეგრაცია და საქართველოს დემოკრატიული განვითარება.

ჯოსეფი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების კურსდამთავრებულია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტში მუშაობის დანყებამდე, ის იყო კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მკვლევარი და ჟურნალისტი.

larsen@gip.ge

ISBN 978-9941-449-86-4

